



საქართველოს მთავრობის  
მინისტრის ბრძანებულების  
სამსახურის მინიჭებულებები

## ფიზიკის შესავალი - 2

### ლექცია 6

იმპულსი

დაჯახებები ერთ განზომილებაში  
იმპულსის შენახვის კანონი

ფიზიკის შესავალი 2, აღ. თემა, 2014

ლექცია/გვერდი: 6/1

### წინა ლექციაში

მალა და მალის ტიპები  
მალთა ტოლქმედი  
ინერცია

ნიუტონის პირველი კანონი  
ნიუტონის მეორე კანონი  
ნიუტონის მესამე კანონი

ფიზიკის შესავალი 2, აღ. თემა, 2014


ლექცია/გვერდი: 6/2

### იმპულსი

სხეულის იმპულსი ვექტორული სიდიდეა და  
უდრის მისი მასისა და სიჩქარის ნამრავლს

$$\vec{P} = m \vec{V}$$

$$\begin{aligned} P_x &= m V_x \\ P_y &= m V_y \\ P_z &= m V_z \end{aligned}$$



ფიზიკის შესავალი 2, აღ. თემა, 2014

ლექცია/გვერდი: 6/3

### მალა და იმპულსი

ნიუტონის მეორე კანონი:  $\vec{F} = m \vec{a}$

აჩქარება:  $\vec{a} = \Delta \vec{V} / \Delta t$

$$\vec{F} = m \Delta \vec{V} / \Delta t = \vec{\Delta P} / \Delta t$$

$$\vec{\Delta P} = \vec{F} \Delta t$$

სხეულზე მინიჭებული იმპულსი უდრის მასზე  
მოქმედი ძრობის ნამრავლს დროის ინტერვალზე,  
რომლის განმავლობაშიც ეს ძალა მოქმედებდა

## იმპულსის მინიჭება

სხეულისათვის ერთიდაიგივე იმპულსის მინიჭება  
შეიძლება ან მცირე ძალის დიდი ხნის განმავლობაში  
ზემოქმედებით, ან დიდი ძალის მცირე ხნის  
განმავლობაში ზემოქმედებით

$$\Delta P = F_1 \Delta t_1 = F_2 \Delta t_2$$

$$F_1 \gg F_2, \quad \Delta t_1 \ll \Delta t_2$$


მაგალითად: ბურთისათვის  
იპულსის მინიჭება თავისუფალი  
ვარდნისას და ჩოგანის დარტყმით



## ამოცანა #1

0.4 კგ მასის სხეული ესროლეს აგურის კედელს.  
კედელთან დაჯახებისას სხეულის სიჩქარე იყო  
30 მ/წმ, ხოლო არეკვლის შემდეგ სხეულის სიჩქარე  
იყო 20 მ/წმ. სხეული კედელთან კონტაქტში  
იმყოფებოდა 0.01 წმ განმავლობაში. იპოვეთ რა  
ძალით იმოქმედა კედელმა სხეულზე.

## ამოცანა #1



დაჯახებამდე:

$$P_{x1} = m V_{x1} = 0.4 \text{ კგ} (-30 \text{ მ/წმ}) = -12 \text{ კგ მ/წმ}$$

$$\text{შემდეგ: } P_{x2} = m V_{x2} = 0.4 \text{ კგ} 20 \text{ მ/წმ} = 8 \text{ კგ მ/წმ}$$

$$\Delta P = F \Delta t$$

$$F = \Delta P / \Delta t = (P_{x2} - P_{x1}) / \Delta t = (8 - (-12)) / 0.01 = 2000 \text{ (ნ.)}$$

## იმპულსი და ურთიერთქმედება

ორი იზოლირებული სხეულის ურთიერთქმედება:

ნიუტონის III კანონი: ქმედება უდრის უკუქმედებას;

$$\vec{F}_1 = -\vec{F}_2$$

$$F_1 = \Delta P_1 / \Delta t$$

$$F_2 = \Delta P_2 / \Delta t$$

$$F_1 + F_2 = (\Delta P_1 + \Delta P_2) / \Delta t = 0$$



$$\vec{\Delta P}_1 + \vec{\Delta P}_2 = 0$$

## იმპულსის შენახვის კანონი

ჩაკეტილ სისტემაში სხეულების იმპულსების ჯამი მუდმივია

$$\vec{P} = \vec{P}_1 + \vec{P}_2 + \dots = m_1 \vec{V}_1 + m_2 \vec{V}_2 + \dots = \text{constant}$$

თუკი სისტემაზე მოქმედი ძალების ტოლქმედი ნულის ტოლია, მაშინ სისტემის ჯამური იმპულსი არ იცვლება

$$\vec{F} = \Delta \vec{P} / \Delta t = 0, \quad \Delta \vec{P} = 0, \quad \vec{P} = \text{constant}$$

## იმპულსის შენახვის კანონი

იმპულსის შენახვის კანონი გეგმილებში:

$$P_{1x} + P_{2x} + \dots = m_1 V_{1x} + m_2 V_{2x} + \dots = C_1$$

$$P_{1y} + P_{2y} + \dots = m_1 V_{1y} + m_2 V_{2y} + \dots = C_2$$


$$P_{1z} + P_{2z} + \dots = m_1 V_{1z} + m_2 V_{2z} + \dots = C_3$$

იმპულსი ყოველი ღერძის გასწვრივ შეიძლება იყოს სხვადასხვა:

$$\begin{aligned} C_1 &\neq C_2 \neq C_3 \\ C_1, C_2, C_3 &= \text{constant} \end{aligned}$$

## მაგალითი

იმპულსის შენახვა სხვადასხვა მასის სხეულების ურთიერთქმედებისას:



$$\vec{P}_1 + \vec{P}_2 = 0, \quad m_1 V_1 - m_2 V_2 = 0, \quad m_1/m_2 = V_2 / V_1$$

## ამოცანა #2

თოფიდან გასროლისას 5 გრამიანი ტყვია იღებს 300 მ/წმ საწყის სიჩქარეს. დათვალეთ რა სიჩქარით მოხდება დაუმაგრებელი თოფის უკუცემა, თუ მისი მასაა 3 კგ. რა სიჩქარით მოხდება თოფის უკუცემა თუკი ის მყარად უკავია მონადირეს, რომლის მასაა 77 კგ?

ტყვიის მასა:  $5 \text{ გრ} = 0.005 \text{ კგ}$

ყველა სიღიღე გადაგვავს SI სისტემის ერთეულებში

## ამოცანა #2

$$\vec{P}_1 + \vec{P}_2 = 0 \text{ (საწყისი იმპულსი ნულის ტოლია)}$$

$$V_1 = 300 \text{ მ/წმ}$$

$$V_2 < 0 \text{ ( = ? )}$$

$$m_1 V_1 - m_2 V_2 = 0 \quad V_2 = m_1/m_2 V_1$$


$$1) m_2 = 3\text{გ}, \quad V_2 = 0.005/3 \times 300 = 0.5 \text{ მ/წმ}$$

$$2) m_2 = (3+77)\text{გ}, \quad V_2 = 0.005/80 \times 300 = 0.02 \text{ მ/წმ}$$

## იმპულსის შენახვა სროლისას



## დაჯახებები



სხეულების დაჯახება:  
აბსოლუტურად დრეკადი  
დაჯახება: გაფანტვა


აბსოლუტურად არადრეკადი  
დაჯახება: შეერთება

რეალური დაჯახებები:  
არადრეკადი,  
ნაწილობრივი გაფანტვა



## აბსოლუტურად არადრეკადი დაჯახება

ბურთს ვესვრით  
პლასტელინს.



იმპულსის შენახვა:


საწყისი:  $m V_1$   
საბოლოო:  $(M+m) V_2$

$$m V_1 = (M+m) V_2, \quad V_2 = m / (M+m) V_1$$

$$m / (M+m) < 1, \quad V_2 < V_1$$

## დრეკადი დაჯახება

ტოლი მასის ბურთულების დრეკადი დაჯახება  
მაგალითი: ბილიარდის ბურთულები




იმპულსის სრული გადაცემა:  $m V_1 = m V_2$

## იმპულსის გადაცემა



## დრეკადი დაჯახებები



გადასვლა ერთ-ერთი მოძრავი სხეულის სისტემაში:  
გალილეის გარდაქმნები


## დრეკადი დაჯახებები

დრეკადი დაჯახებები და იმპულსის გადაცემები ერთიდაიგივე მასის ბურთულებისათვის.

მაგალითი: “ნიუტონის აკვანი”




იმპულსის გადაცემა: “ნიუტონის აკვანი”




### გალილეის ქვემები

სხვადასხვა მასის  
სხეულების ვარდნა:  
(დრეკადი არეკვლა)




სხვადასხვა მასის  
სხეულების ერთად  
ვარდნა და არეკვლა:




### გალილეის ქვემები

1.) მძიმე ბურთის დრეკადი არეკვლა:  
დაცემის სიჩქარე უდრის არეკვლის  
სიჩქარეს:  $V$



2.) პატარა ბურთის დრეკადი  
დაჯახება არეკვლილ დიდ  
ბურთთან.



არეკვლის სიჩქარე:  $V_1$   
 $M \gg m$ ,  $V_1 \gg V$

არეკვლისას პატარა ბურთი იძენს ვარდნის სიჩქარეზე  
გაცილებით მეტ სიჩქარეს

### გალილეის ქვემები



დამოუკიდებლად: კალათბურთის და ჩოგბურთის ბურთები

## გალილეის ქვემეხი: სიჩქარეები



## ეფექტური სიჩქარე

სხეულების სისტემის ჯამური იმპულსი:

$$\vec{P} = m_1 \vec{V}_1 + m_2 \vec{V}_2 + \dots$$

სისტემის სრული მასა:  $M = (m_1 + m_2 + \dots)$

წარმოსახვითი სხეული:  $\vec{P} = M \vec{V}$

სისტემის როგორც ერთი სხეულის ეფექტური სიჩქარე:

$$\vec{V} = (m_1 \vec{V}_1 + m_2 \vec{V}_2 + \dots) / (m_1 + m_2 + \dots)$$

## მასათა ცენტრი

სისტემის მასათა ცენტრი დამოკიდებულია სისტემაში შემავალი მასების განაწილებაზე

$$\vec{r} = (m_1 \vec{r}_1 + m_2 \vec{r}_2 + \dots) / (m_1 + m_2 + \dots)$$

კომპონენტებში:

$$x_c = (m_1 x_1 + m_2 x_2 + \dots) / (m_1 + m_2 + \dots)$$


$$y_c = (m_1 y_1 + m_2 y_2 + \dots) / (m_1 + m_2 + \dots)$$

$$z_c = (m_1 z_1 + m_2 z_2 + \dots) / (m_1 + m_2 + \dots)$$

## რთული სხეულის მასათა ცენტრი

ტვირთის მასა:  $2M$

სიგრძე:  $L$



მასათა ცენტრი:  $x_c = (x_1 m_1 + x_2 m_2) / (m_1 + m_2)$

$$x_c = (0 M + L M) / (M + M) = L M / (2M) \quad x_c = L/2$$

ერთ-ერთი მასის ადგილის ცვლილება მასათა ცენტრის ცვლილების გარეშე:

$$L M \rightarrow 2L M/2 \rightarrow 4L M/4 \text{ ("მხარის" ცვლილება)}$$

## მასათა ცენტრის სიჩქარე

$$\text{ყოველი სხეულის სიჩქარე: } \vec{V}_i = \vec{\Delta r}_i / \Delta t$$

მასათა ცენტრის სიჩქარე:

$$\vec{\Delta r} = (m_1 \vec{\Delta r}_1 + m_2 \vec{\Delta r}_2 + \dots) / (m_1 + m_2 + \dots)$$

$$\vec{V} = (m_1 \vec{V}_1 + m_2 \vec{V}_2 + \dots) / (m_1 + m_2 + \dots)$$

$$\vec{V} = \vec{P} / M$$

მასათა ცენტრის სიჩქარე უდრის სრული იმპულსის სრულ მასასთან ფარდობას

## მასათა ცენტრის მოძრაობა

იმპულსის შენახვის კანონი: თუკი სისტემაზე გარეშე ძალები არ მოქმედებენ, სრული იმპულსი არ იცვლება.

$$\vec{V} = \vec{P} / M$$

თუკი არ იცვლება სრული მასა ( $M=const$ ) მუდმივია მასათა ცენტრის სიჩქარეც.

სისტემაში მასათა შიდა გადანაწილება არ მოქმედებს მასათა ცენტრის მოძრაობაზე

## მასათა ცენტრის აჩქარება

მოძრაობის კანონი მასათა ცენტრისათვის:  $\vec{a} = \vec{\Delta V} / \Delta t$

$$\vec{\Delta V} = (m_1 \vec{\Delta V}_1 + m_2 \vec{\Delta V}_2 + \dots) / (m_1 + m_2 + \dots)$$

$$\vec{a} = (m_1 \vec{a}_1 + m_2 \vec{a}_2 + \dots) / M$$

$$M \vec{a} = \vec{F}_1 + \vec{F}_2 + \dots = \sum \vec{F}_{გარე} + \sum \vec{F}_{შიდა}$$

ნიუტონის III კანონი: შიდა ძალების ჯამი ნულის ტოლია (ქმედება—უკუქმედება წყვილები)

$$\sum \vec{F}_{შიდა} = 0$$

## მასათა ცენტრის მოძრაობა

$$\sum \vec{F}_{გარე} = M \vec{a}$$

სისტემაზე მოქმედი გარე ძალების ჯამი ტოლია სისტემის სრული მასისა და მასათა ცენტრი აჩქარების ნამრავლს

სისტემის მასათა ცენტრის მოძრაობის კანონი: ნიუტონის მეორე კანონი რთული სისტემებისათვის

## მასათა ცენტრი

კუთხით გასროლილი სხეული:

1) საკუთარი მოძრაობა:

მოძრაობა სიმძიმის ცენტრის ცვლილების გარეშე

2) სიმძიმის ცენტრის მოძრაობა;

გარეშე ძალა:


სიმძიმის ძალა:

სიმძიმის ცენტრის

მოძრაობის

ტრაექტორია:

პარაბოლა



## მასათა ცენტრის მოძრაობა

სხეულის გაფანტვა და მასათა ცენტრი



## მასათა ცენტრის მოძრაობა

სიმაღლეში მხტომელის მასათა ცენტრი



## სხეულების მასათა ცენტრის მოძრაობა



## მოძრაობა ცვალებადი მასით

**რეაქტიული მოძრაობა:** მასის ნაწილი გამოიტყორცნება დიდი სიჩქარით სხეულის მოძრაობის საპირისპიროთ


$$M \Delta v = \Delta m V_e$$

რაკეტის სიჩქარის მატება:  $\Delta v$

რეაქტიული ჭავლის სიჩქარე:  $V_e$

$$\Delta v / V_e = \Delta m / M$$

$$\Delta v \ll V_e, \Delta m \ll M$$



## ბოთლის რეაქტიული მოძრაობა



არ გაიმეოროთ დამოუკიდებლად!

## მოძრაობა და იმპულსი

ძალა და იმპულსი  
იმპულსის შენახვის კანონი

დრეკადი და არადრეკადი დაჯახებები

მასათა ცენტრი  
მასათა ცენტრის მოძრაობა

რეაქტიული მოძრაობა

## ამოცანები

შეიძლება თუ არა, რომ უძრავ სხეულთა სისტემის მასათა ცენტრი მოძრაობდეს?

შეიძლება თუ არა, რომ მოძრავ სხეულთა სისტემის მასათა ცენტრი იყოს უძრავი?

## ამოცანები

შეიძლება თუ არა ორი სხეულის მასათა ცენტრი ემთხვეოდეს ერთ-ერთი სხეულის მდებარეობას?

შეიძლება თუ არა ორზე მეტი სხეულის მასათა ცენტრი ემთხვეოდეს ერთ-ერთი სხეულის მდებარეობას?

## ამოცანები

ინახება თუ არა ვერტიკალურად ზევით გასროლილი სხეულის იმპულსი? რატომ?

შეიძლება თუ არა უძრავი და ერთი მიმართულებით მოძრავი სხეულების სისტემის ჯამური იმპულსი იყოს ნული?

[www.tevza.org/home/course/phys2014](http://www.tevza.org/home/course/phys2014)